MES 0 23 0000684110

13/06/2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:
1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:
დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პერტე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს წევრი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
თამარ შენგელია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
გვანცა მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:
შპს საგანმანათლებლო ცენტრი სკოლა პროექტორი
ანნა პუჩკოვა - დაწესებულების ხელმძღვანელი
ლიანა მუკბანიანი - სკოლის აკადემიური დირექტორი

ა(ა)იპ - ჩემი ევროპული სკოლა
ელენე მაჩიტიძე - სკოლის დირექტორი
ლიანა კობესაშვილი - სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):
შპს საგანმანათლებლო ცენტრი სკოლა პროექტორი
ხათუნა ბარაბაძე
ლელა ჯაში

ა(ა)იპ - ჩემი ევროპული სკოლა
ლელა ჯაში
ნანა ედიშერაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2023 წლის 30 მაისს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 15:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 17-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:
1. შპს საგანმანათლებლო ცენტრი სკოლა პროექტორის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - ჩემი ევროპული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და, შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. **შპს საგანმანათლებლო ცენტრი სკოლა პროექტორის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექპერტებმა, ხათუნა ბარაბაძემ და ლელა ჯაშმა. ექსპერტმა ხათუნა ბარაბაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 30 და 31 მარტს. დაწესებულება მდებარეობდა ქალაქ თბილისში, საირმის ქუჩა N39-ში, არასასოფლო სამეურნეო ნაკვეთზე, რომლის საერთო ფართი 670.00 კვ.მ-ს შეადგენდა. სკოლის შენობა სარგებლობის უფლებით გადაცემული ჰქონდა შპს საგანმანათლებლო ცენტრ სკოლა პროექტორს მეიჯარესგან 2022 წლის 01 აგვისტოდან 2029 წლის 01 ოქტომბრამდე.

ექსპერტმა, ლელა ჯაშმა განაცხადა, რომ დაწესებულებას სურდა საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება ქართულ და რუსულ ენებზე. ამასთან, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში რუსულენოვან პროგრამაზე ჩაირიცხებოდნენ და ისწავლიდნენ ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი საქართველოს მოქალაქე მოსწავლეები. ექსპერტის თქმით, გაზრდილი იყო პირველი უცხოური ენის საათობრივი დატვირთვა ყველა კლასში. სკოლა დაწყებით საფეხურზე მოსწავლეებს სთავაზობდა სავალდებულო საგანს „ფსიქოლოგის საათი“. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლაში იყო 5 საგნობრივი კათედრა, სკოლა გეგმავდა კლუბების შექმნას, კერძოდ, დებატების კლუბი, ინტელექტკლუბი, სახელოსნო ART სტუდია და ა.შ.

ექსპერტმა, ლელა ჯაშმა ისაუბრა საავტორიზაციო ვიზიტის დროს გამოვლენილ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან დაწესებულების შეუსაბამობებზე. კერძოდ, დოკუმენტაციის წარმოების დროს, გარკვეულ შემთხვევაში არ იყო გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობა, ასევე, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში სკოლას დიდი რაოდენობით ხარვეზები ჰქონდა, რასაც სკოლის განმარტებით ტექნიკური ხასიათი ჰქონდა. ლელა ჯაშის თქმით, საგნობრივი კურიკულუმები და კომპლექსური დავალებების ნიმუშების შინაარსი არ იყო ცნობილი მასწავლებელთა გარკვეული ნაწილისთვის. გარდა ამისა, კანონმდებლობასთან შეუსაბამობა ფიქსირდებოდა სემესტრული გამოცდების ვადებთან დაკავშირებითაც.

ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ განიხილა დაწესებულების მატერიალური რესურსი და აღნიშნა, რომ სკოლის შენობა იყო 6 სართულიანი. სწავლება უნდა განხორციელებულიყო მე-3 და მე-5 სართულებზე, სადაც განთავსებული იყო 27 კეთილმოწყობილი საკლასო ოთახი, თითოეულ ოთახს ჰქონდა სველი წერტილი, თითოეული მოსწავლისთვის გამოყოფილი იყო კარადა, რომლებიც მოსწავლეთა პირადი ნივთებისთვის იყო განკუთვნილი. საკლასო ოთახების ნაწილი გადიოდა ვერანდაზე, რომლის კარებიც იკეტებოდა, თუმცა ვიზიტის დროს აღმოჩნდა ისეთი ოთახიც, სადაც ვერანდაზე გამავალ კარს არ ჰქონდა საკეტი, რაც მოსწავლეებისთვის საფრთხის შემცველი იყო. დაწესებულებაში განთავსებული იყო კომპიუტერული ლაბორატორია, რომელსაც ამავდროულად ჭადრაკის კაბინეტის ფუნქცია ჰქონდა. სკოლის პირველ სართულზე განთავსებული იყო სასადილო და სამზარეულო, ადაპტირებული სველი წერტილით. სკოლის

ნახევარსარდაფში სამხატვრო სახელოსნოები და საბუნებისმეტყველო ლაბორატორია იყო განლაგებული. სკოლას ჰქონდა 2 დახურული და 1 ნახევრად ღია სპორტული მოედანი. გარდა ამისა, სკოლაში იყო ლიფტები, მათ შორის დამონტაჟებული იყო ლიფტი შშმ პირთათვის.
ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ ისაუბრა სკოლაში უსაფრთხოების ნორმების არსებობაზე და განმარტა, რომ სკოლას ყველა სართულზე ჰქონდა დამონტაჟებული კვამლსაწინააღმდეგო დეტექტორები, 3-3 გადამუხტული ცეცხლმაქრი და საავარიო შეტყობინების ღილაკი. სკოლას ჰყავდა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც თვალყურს ადევნებდა პირველ სართულზე განთავსებულ ელექტრო პანელურ დაფას, რომელიც ხანძრის კერის არსებობის შემთხვევაში ანათებდა კონკრეტული ადგილის მითითებით. ასევე, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებული ჰქონდა სკოლას საგანგებო მართვის გეგმა და თანამშრომლებისგან დაკომპლექტებული შტაბი.
ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ ყურადღება გაამახვილა სტრატეგიული განვითარების გეგმის მეთოდოლოგიაზე და აღნიშნა, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებაში მონაწილე ჯგუფებთან გასაუბრების შედეგად იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ინფორმაციის ანალიზი არ შეესაბამებოდა რეალურ სიტუაციას. აქედან გამომდინარე, სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით შემუშავება დგებოდა ეჭქვეშ და არ ითვალისწინებდა არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსის ეფექტურად გამოყენებას.
ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ ისაუბრა დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტის დროს გამოვლენილ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან გამოვლენილ შეუსაბამობებზე. კერძოდ, დარღვეული იყო საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2009 წლის 7 ოქტომბერის N1-1/2284 ბრძანება სამშენებლო ნორმების და წესების - „სეისმომდეგი მშენებლობა“ (პნ 01.01-09) დამტკიცების შესახებ, რომლის მიხედვით ბავშვთა და სასკოლო დაწესებულების სართულიანობა არ უნდა აღემატებოდეს 3 მიწისზედა სართულს. გარდა ამისა, სკოლას სრულად არ ჰქონდა აღჭურვილი სასკოლო ბიბლიოთეკა, კერძოდ, არ ფლობდა გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. სრულად არ ჰქონდა აღრიცხული და დამუშავებული არსებული წიგნადი ფონდი კანონმდებლობით დადგენილი წესით. გარდა ამისა, ხათუნა ბარაბაძის თქმით, სკოლის შენობის შიდა პერიმეტრი, კერძოდ, კიბის უჯრედები სრულიად ვერ კონტროლდებოდა ვიდეო-კამერებით.
ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ ისაუბრა დაწესებულების ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ კანონმდებლობის გათვალისწინებით მასწავლებელთა შერჩევის მიზნით, სკოლამ დირექტორის ბრძანებით განსაზღვრა მასწავლებელთა მისაღებად საკვალიფიკაციო მოთხონები. ვაკანსიები გამოცხადებული იყო Jobs.ge-ზე, თუმცა მასწავლებელთა შერჩევის დროს სკოლამ თავად დაარღვია საკვალიფიკაციო მოთხოვნებით გათვალისწიებული ვალდებულებები. კერძოდ, ერთ-ერთი საკვალიფიკაციო მოთხოვნა იყო რუსული ენის ცოდნის ვალდებულება და ამის დასადასტურებლად მტკიცებულებათა წარმოდგენა. ეს პუნქტი მასწავლებელთა შერჩევის დროს იქნა დარღვეული და ზოგიერთი აპლიკანტი ამ მტკიცებულებების წარმოდგენის გარეშე იყვნენ გასაუბრებაზე დაბარებული. ასევე, დაფიქსირდა ბიოლოგიის მასწავლებლის აყვანასთან დაკავშირებით ხარვეზი, კერძოდ, მასთან ხელშეკრულება გაფორმებული იყო კონკურსის წესის გავლის გარეშე. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებული იყო ხელშეკრულებები, თუმცა მასში არ იყო გამიჯნული ქართული და რუსული პროგრამის მასწავლებლები. ხელშეკრულებაში დაფიქსირებული იყო მასწავლებელთა არ არსებული სტატუსები. ასევე,თანამშრომლებს არ ჰქონდათ წარმოდგენილი კანონმდებლობის შესაბამისად უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ მამსიკაშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, თუ რამ გამოიწვია სკოლის მრავალი ხარვეზი მაშინ, როდესაც სკოლა ავტორიზაციის პროცესისთვის ემზადებოდა.
სკოლის წარმომადგენელმა, ლიანა მუკბანიანმა განაცხადა, რომ გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორება სკოლის მხრიდან უკვე დაწყებული იყო. მოსწავლეთა უსაფრთხოების ნორმები სკოლაში დაცული იყო და ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში ეს საფრთხე არ დადგებოდა. ასევე, მან აღნიშნა, რომ სკოლაში ვიდეო კამერები ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ დაამატეს.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა აღნიშნა, რომ არ იყო წარმოდგენილი სკოლის საათობრივი ბადის შესახებ დოკუმენტი, ასევე დაინტერესდა, თუ რატომ არ იყო გათვალისწინებული რუსულენოვანი პროგრამისთვის საქართველოს ისტორიის სწავლება, ხოლო სამოქალაქო განათლებასა და ხელოვნებაში პროექტული სწავლება. აქვე, საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ ქართულენოვანი სექტორისთვის საქართველოს ისტორია გათვალისწინებული იყო, თუმცა პროექტული სწავლება სამოქალაქო განათლებასა და ხელოვნებაში არ იყო. საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ რა იყო ზემოაღნიშნულის მიზეზი.
სკოლის წარმომადგენელმა, ლიანა მუკბანიანმა განმარტა, რომ რუსულენოვანი პროგრამისთვის არ იყო სავალდებულო საქართველოს ისტორიის სწავლება, ხოლო რაც შეეხებოდა ქართულენოვან სექტორს, იქ აღნიშნული საგანი გაწერილი ჰქონდა სკოლას. აქვე, დაწესებულებამ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საათობრივი ბადე შეთანხმებული იყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ დაამატა, რომ აღნიშნული საკითხი ეწინააღმდეგებოდა ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და იკვეთებოდა, რომ სკოლას არ ჰქონდა მზაობა რუსულ პროგრამაზე მოსწავლეებისთვის შეეთავაზებინა საქართველოს ისტორია. საბჭოს მდივანმა, მანანა ჯინჭარაძემ განაცხადა, რომ სწორედ საქართველოს ისტორიისა და სამოქალაქო განათლების პროექტული სწავლებით უნდა ემუშავა სკოლას მოსწავლეთა ღირებულებების ჩამოყალიბებაზე.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებსა და ექსპერტებს, თუ რა სამართლებრივი აქტით ხელმძღვანელობდა სკოლა რუსული ენის სწავლებასთან დაკავშირებით, როდესაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმების გარეშე ახორციელებდა სწავლებას. ექსპერტ, ხათუნა ბარაბაძის განმარტებით, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ექსპერტებსაც ჰქონდათ მსგავსი კითხვები სკოლის მიმართ, რასთან დაკავშირებითაც დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ რუსულენოვანი პროგრამა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებისთვის იქნებოდა შეთავაზებული.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა ექსპერტებს მიმართა კითხვით, რუსულენოვანი პროგრამის მოსწავლეები საქართველოს მოქალაქეები იყვნენ თუ მხოლოდ ბინადრობის უფლება ჰქონდათ.
ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ განაცხადა, რომ სკოლას არ ჰყავდა მოსწავლეები მოცემული მომეტისთვის, რადგან დაწესებულება იყო ახლად დაარსებული და არ იყო ავტორიზებულ რეჟიმში მყოფი.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა მიმართა ექსპერტებს, რომ მეტად განმარტებადი ყოფილიყო მასწავლებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებასთან დაფიქსირებული ხარვეზი. ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ დამატებით განმარტა, რომ მასწავლებელთან გასაუბრების დროს, რომელიც არ იყო კონკურსის წესით შერჩეული, მას დაუსვეს გარკვეული კითხვები ხელშეკრულებიდან, რომელსაც ვერ გასცა პასუხი. შესაბამისად, ექსპერტებმა ივარაუდეს, რომ მასწავლებელი არ იცნობდა სკოლის მიერ მასთან გაფორმებულ ხელშეკრულებას. სკოლის წარმომადგენელმა, ლიანა მუკბანიანმა განმარტა, რომ პედაგოგს ნანახი ჰქონდა ხელშეკრულება, თუმცა სკოლა არ იღებდა პასუხისმგებლობას იმის შესახებ, თუ რამდენად იცნობდა პედაგოგი ხელშეკრულების შინაარსს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 350 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საგანმანათლებლო ცენტრ სკოლა პროექტორის ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 350-ით განსაზღვრის საკითხი.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 12
გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შპს საგანმანათლებლო ცენტრ სკოლა პროექტორს (ს/კ: 416361699) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განმარტა, რომ ექსპერტთა მიერ აღწერილი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან გამოვლენილი შეუსაბამობები არ იძლეოდა საშუალებას დაენახა სკოლის მზაობა მომავალი საგანმანათლებლო საქმიანობისთვის.
საბჭოს წევრების განმარტებით, გადაწყვეტილების მიღებისას ისინი დაეყრდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და ზეპირ განხილვას. მათი განმარტებით, მათ ვერ დაინახეს სკოლის მზაობა ექსპერტთა მიერ წარმოდგენილ დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად. საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი იყო დაწესებულების მხრიდან ექსპერტებისა და საბჭოს წევრების მოსაზრებების მიღება და გაზიარება.
სკოლის წარმომადგენელმა, ლიანა მუკბანიანმა განაცხადა, რომ დაწესებულება ექსპერტთა მიერ აღწერილ და საბჭოს სხდომაზე განხილულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან დაფიქსირებულ ყველა შეუსაბამობასა და რეკომენდაციას იზიარებდა.

2. ა(ა)იპ - ჩემი ევროპული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ლელა ჯაშმა და ნანა ედიშერაშვილმა. ექსპერტმა, ლელა ჯაშმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 26 და 27 აპრილს. ლელა ჯაშმა განმარტა, რომ დაწესებულებამ 2022 წლის 06 სექტემბერს მიენიჭა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით და სურდა საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების დამატება. ექსპერტმა ისაუბრა სასკოლო გარემოსა და ინფრასტრუქტურაზე, რომელიც სრულად უზრუნველყოფდა მოსწავლეთათვის ჯანსაღ საგანმანათლებლო გარემოს. ლელა ჯაშმა განმარტა, რომ სკოლას ჰქონდა დახურული სპორტული მოედანი, რომელსაც ჰქონდა გასახდელები ვაჟებისთვის და გოგოებისთვის. აქვე, მან აღნიშნა, რომ სპორტული დარბაზის ჭერი იყო დაზიანებული, თუმცა სასწავლო პროცესის დასრულებისთანავე სკოლა გეგმავდა მის რეაბილიტაციას. სკოლაში შექმნილი იყო ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის. კერძოდ, სკოლას ჰქონდა პანდუსები და ადაპტირებული სველი წერტილი.

ექსპერტმა, ლელა ჯაშმა ისაუბრა დაწესებულებაში არსებულ კომპიუტერულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიებზე, რომელთა ინვენტარიც სრულად იყო შეძენილი, თუმცა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის გადატანა იგეგმებოდა სკოლის მეორე სართულზე სპეციალურად განკუთვნილ ოთახში, რომლის სარემონტო სამუშაოებიც მიმდინარეობდა ექსპერტთა ვიზიტის დროს. ექსპერტის თქმით, სასადილო ოთახი იყო კეთილმოწყობილი. ასევე, ექიმის კაბინეტი და ექიმის კვალიფიკაცია სრულად შეესაბამებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის N41/ნ01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. გარდა ამისა, დაწესებულების ბიბლიოთეკა მდებარეობდა ნათელ ოთახში, სადაც იყო სამკითხველო სივრცე და შესაბამისი წესით იყო აღრიცხული სახელმძღვანელოები.

ექსპერტმა, ლელა ჯაშმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა ძირითადი და დამხმარე სივრცეები, რომელთა ათვისებაც სხვადასხვა პროექტებისთვის იგეგმებოდა. ექსპერტმა, ასევე, ისაუბრა სკოლაში უსაფრთხოების მექანიზმებზე, მან განმარტა, რომ დაწესებულებას ჰქონდა სახანძრო უსაფრთხოების სრული ინვენტარი.

ექსპერტმა, ლელა ჯაშმა განიხილა სკოლის საგანმანათლებლო პროგრამები და აღნიშნა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა და სკოლის საათობრივი ბადე შეთანხმებული იყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. პირველი უცხოური ენის სწავლება ხორციელდებოდა პირველი კლასის პირველი სემესტრიდან, ხოლო მეორე უცხოური ენა მოსწავლეებისთვის მესამე კლასიდან იყო შეთავაზებული. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობდა დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას, როგორიც იყო გახანგრძლივებული სწავლების წრე, მკვლევართა წრე, ცეკვის წრე და ა.შ. მოსწავლეთა შეფასების სისტემა ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად ხორციელდებოდა, აქცენტი კი განმავითარებელ შეფასებაზე იყო გაკეთებული. ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლაში არაფორმალურ განათლებას დიდი ყურადღება ეთმობოდა.

ექსპერტმა, ლელა ჯაშმა ისაუბრა დაწესებულების ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მასწავლებლის მიღება ხდებოდა კონკურსის გზით, აღნიშნული პროცედურა თანხვედრაში იყო საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N174/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების და შეწყვეტის წესთან“. თანამშრომლებთან გაფორმებული იყო კანონმდებლობის შესაბამისად ხელშეკრულებები და სკოლას შემუშავებული ჰქონდა დოკუმენტი „სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა“. დაწესებულებაში პედაგოგთა საერთო რაოდენობა შეადგენდა 27-ს, მოწვეული სტატუსით იყო 12, უფროსი მასწავლებელი 12, ხოლო უსტატუსო მასწავლებელი იყო 3.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა ერთწლიანი სამოქმედო და ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმები. სკოლის სტრატეგიული მიზნები კი იყო სკოლის კურიკულუმის განვითარება, ინსტიტუციური განვითარება და მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.
ექსპერტმა ხაზი გაუსვა დაწესებულების ძლიერ მხარეებს, რომელიც მოიცავდა სკოლის ინფრასტრუქტურას, სკოლის ადგილმდებარეობას - სიახლოვე „ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალთან“, დაწესებულების აქცენტს არაფორმალურ განათლებაზე და პედაგოგთა მაღალ მოტივაციას.
ექსპერტმა, ლელა ჯაშმა ისაუბრა დაწესებულების წინაშე მდგარ გამოწვევებზე, რომელიც შედგენილი იყო სკოლის SWOT ანალიზისა და ექსპერტთა დაკვირვების საფუძველზე. სკოლის ერთ-ერთ გამოწვევას წარმოადგენდა დაბალი ცნობადობა რეგიონში. გარდა ამისა, სკოლას ჯერ-ჯერობით არ ჰქონდა ღია სპორტული მოედანი და არ იყო სკოლის ორგანიზაციული კულტურა ფორმირებული. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა ეზო, რომლითაც მოსწავლეები აქტიურად სარგებლობდნენ.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების ვებ-გვერდი არ მუშაობდა, ასევე დაინტერესდა მეორე უცხო ენაში მხოლოდ გერმანული და რუსული ენა მოიაზრებოდა თუ სხვა ენებიც იყო სკოლის მხრიდან მოსწავლეებისთვის შეთავაზებული.
ექსპერტმა, ლელა ჯაშმა დაადასტურა, რომ მეორე უცხო ენად სკოლას შეთავაზებული ჰქონდა მხოლოდ რუსული და გერმანული ენები. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ სკოლის ვებ-გვერდი საავტორიზაციო ვიზიტის დროს სრულად იყო გამართული, მუშაობდა და დატანილი იყო მასზე ყველა საჭირო ინფორმაცია.
სკოლის წარმომადგენელმა, ლიანა კობესაშვილმა აღნიშნა, რომ სამომავლოდ იგეგმებოდა გამოკითხვის ჩატარება, თუ რომელი ენის დამატება სურდათ მშობლებს და გაითვალისწინებდნენ გამოკითხვის შედეგებს. რაც შეეხებოდა სკოლის ვებ-გვერდს, მან დაადასტურა რომ ვებ-გვერდი შეუფერხებლად მუშაობდა და განმარტა, რომ სავარაუდოდ საბჭოს სხდომის მსვლელობისას ფიქსირდებოდა ტექნიკური ხარვეზი, რომელსაც უახლოეს პერიოდში გამოასწორებდნენ.
საბჭოს წევრი, ზვიად გოგუაძე დაინტერესდა, გეგმავდა თუ არა სკოლა გარე სპორტული მოედნის მოწყობას. სკოლის დირექტორმა, ელენე მაჩიტიძემ განმარტა, რომ სკოლის მხრიდან იგეგმებოდა ეზოში ღია სპორტული მოედნის მოწყობა. აქვე, სკოლის წარმომადგენელმა, ლიანა კობესაშვილმა დაამატა, რომ მოცემულ მომენტში მოსწავლეები აქტიურად იყენებდნენ სპორტის გაკვეთილების დროს სკოლის ეზოს, რომელიც მთლიანად შემოსაზღვრული იყო ღობით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 350 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ჩემი ევროპული სკოლის ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 350-ით განსაზღვრის საკითხი.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ - ჩემ ევროპულ სკოლას (ს/კ: 433109496) მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 350- ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვროს ქართული ენა.

საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლის ეზოში მოეწყო გარე სპორტული მოედანი და აღნიშნულის შესახებ ეცნობებინა ცენტრისთვის და წარმოედგინა შესაბამისი დამადასტურებელი მტკიცებულებები.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 16:30 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა